იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველო“ და ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკული წერილი

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: რესურსის მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლებისა და დისკუსიის სასწავლო მეთოდები.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება.

გაკვეთილის თემა იაკობ ნიკოლაძის მიერ ილია ჭავჭავაძისთვის მიძღვნილ მემორიალურ ქანდაკებას – “მწუხარე საქართველოს” – შეეხება. გაკვეთილზე მოსწავლეები ძეგლის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკულ წერილს გაეცნობიან. მასწავლებლის მიზანია ქანდაკების კონტექსტში განხილვითა და მხატვრულ–სტილისტური ანალიზის საშუალებით მოსწავლეებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი განუვითაროს.

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

გაკვეთილის დაწყებამდე საჭიროა, მასწავლებელმა საკითხავი მასალის (ტექსტისა და სამუშაო ფურცლების) იმდენი ეგზემპლარი ამობეჭდოს, რამდენი მოსწავლეც ჰყავს კლასში. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, რომ კლასში მერხების განლაგება შეცვალონ და მერხები მრგვალი მაგიდის პრინციპით დააწყონ. ამის შემდეგ მოსწავლეებს საკითხავ მასალას დაურიგებს და გაკვეთილის თემას გააცნობს. გაკვეთილი იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილ ილია ჭავჭავაძისთვის მიძღვნილ მემორიალურ ქანდაკებას შეეხება. გაკვეთილი მრგვალი მაგიდის დისკუსიის პრინციპით წარიმართება, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება საკითხის განსხვავებული რაკურსით დანახვასა და გააზრებაში. მოსწავლეების მთავარი ამოცანაა მოცემულ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა, ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება[1].

[1] მასწავლებლის წიგნი: ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, ნინო ლომიძე, “დისკუსიის ტექნიკა“ გვ. 156

ნაბიჯი 2

თუმცა მანამ, სანამ მასწავლებელი დისკუსიის ჩატარებას შეუდგება, მოქანდაკის შესახებ წინარე ცოდნის გააქტიურებაა საჭირო. ამისთვის მასწავლებელი კლასს იაკობ ნიკოლაძის შესახებ დავალებას „მცდარია-ჭეშმარიტიას“ სთავაზობს. მოცემული ოთხი დებულებით მოქანდაკის შემოქმედებისა და ისტორიული როლის შესახებ მთავარი აქცენტებია გამოყოფილი. მოსწავლეების დავალებაა, განსაზღვრონ ჭეშმარიტია თუ მცდარი წინადადება. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება მცდარი აღმოჩნდება, საჭიროა მისი ჭეშმარიტი დებულებით შეცვლა.

ნაბიჯი 3

პირველი აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს საკითხავი მასალის ყურადღებით გაცნობას სთხოვს. ტექსტის წაკითხვისას მოსწავლეებმა უნდა მონიშნონ მათთვის საინტერესო ადგილები და შემდეგ დაიწყონ კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა. საჭირო არ არის ვრცელი პასუხები. სამუშაო ფურცლებზე შესაძლებელია,

მოკლე შენიშვნების გაკეთება. როგორც კი, მოსწავლეები კითხვას შეუდგებიან მასწავლებელმა პრეზენტაცია უნდა გახსნას და სლაიდები განსახილველი საკითხების მიხედვით უნდა შეცვალოს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მთელი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელს ფასილიტატორის ფუნქცია აქვს შეთავსებული. მისი მოვალეობაა დისკუსიის წარმართვა და, საჭიროებისამებრ, მოსწავლეების დახმარება.

ნაბიჯი 4

ტექსტის გაცნობისა და კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ კლასში დისკუსია იმართება. აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეახსენოს, რომ დისკუსიის დროს მნიშვნელოვანია სხვისი აზრის პატივისცემა, თანაკლასელის პოზიციისა და არგუმენტაციის ბოლომდე მოსმენა, გააზრება და შემდგომ საკუთარი აზრის გამოხატვა. დისკუსიისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასში პოზიტიური გარემოს არსებობა, რათა მოსწავლეებმა თავისუფლად შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყველა მოსწავლეს თანაბარი დრო უნდა მიეცეს აზრის გამოსახატად.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

საჭიროებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია ძეგლის შექმნის შესახებ კლასს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს. ინფორმაცია მოსწავლეებს ესკიზებზე მსჯელობის დროს დაეხმარება. ქანდაკების შექმნის ისტორია[1] კი ასეთია: ილია ჭავჭავაძის მიმართ მიძღვნილი მემორიალური ქანდაკების იდეა ილიას მკვლელობიდან მალევე დაიბადა. ძეგლის განთავსება, თავდაპირველად, დღევანდელი თავისუფლების, მაშინდელი ერევნის, მოედანზე გადაწყდა. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება კი წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ითავა. თუმცა ქანდაკებისთვის საჭირო ფინანსების მოძიება გაჭირდა. ამიტომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იაკობ ნიკოლაძის წინადადება მიიღო და 1908 წლის თებერვალში სამშობლოში დაბრუნებულ მოქანდაკეს ძეგლის პროექტის მომზადება სთხოვა. იაკობმა ძეგლზე მუშაობა დაიწყო და ხარჯთაღრიცხვაც სპეციალურად შექმნილ კომისიას მალევე წარუდგინა. კომისიის წევრებს შორის იყვნენ გიგო გაბაშვილი, ოსკარ შმერლინგი, მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, ჰენრიკ ჰრინევსკი, სიმონ კლდიაშვილი. კომისიისთვის ესკიზის პირველი ვარიანტი, ილიას ბიუსტი და დამწუხრებული ქალის ფიგურა, მისაღები აღმოჩნდა. თუმცა კომისიამ უკმაყოფილება გამოთქვა პროექტის არქიტექტურულ ნაწილზე. მოქანდაკეს ძეგლის შემომსაზღვრელი კედლის ფორმის შეცვლა და ორნამენტების „ქართულ სტილში“ შესრულება დაევალა. ამ შეხვედრის გარდა, ძეგლის საკითხზე კიდევ ორი შეხვედრა შედგა, რომელზეც არა მხოლოდ მხატვრები, არამედ ფართო საზოგადოებაც მიიწვიეს. იაკობ ნიკოლაძე თვეების განმავლობაში ძეგლის ესკიზებზე მუშაობას განაგრძობდა. ესკიზის მეორე ვარიანტში ქალის ფიგურა უკვე ისეთი სახით არის, როგორიც საბოლოოდ განხორციელდა. კომისიამ ნიკოლაძის მიერ წარმოდგენილი მესამე ვარიანტი 1908 წლის 28 ოქტომბერს დაამტკიცა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებასა და იაკობ ნიკოლაძეს შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, ქანდაკების თიხაში შესრულების შემდეგ, ნიკოლაძეს ნამუშევრების ფოტოები კომისიისთვის უნდა

გამოეგზავნა. კომისიის მხრიდან დადებითი შეფასების შემთხვევაში იაკობ ნიკოლაძეს ძეგლი პარიზში ბრინჯაოში უნდა ჩამოესხა და თბილისში გამოეგზავნა. პირველად გამოგზავნილი ფოტოების მიხედვით, კომისიას მცირე შენიშვნები ჰქონდა. ნიკოლაძემ შენიშვნები გაითვალისწინა და ძეგლის შესწორებული ვარიანტის ფოტოები ხელახლა გამოაგზავნა. საბოლოოდ, კომისიამ „მწუხარე საქართველოს“ ფიგურა მისაღებად მიიჩნია. ძეგლისთვის გაღებული ხარჯი კი მოქალაქეების შემოწირულებებით შეგროვდა. მიუხედავად ამ რთული სამუშაო პროცესისა, არქიტექტურული ნაწილის შესახებ კამათი არ წყდებოდა. ქალის ფიგურას თავიდან ნიშა შემოსაზღვრავდა, მაგრამ შესწორების შედეგად იგი სწორკუთხა, ორნამენტირებული მოჩარჩოებით შეიცვალა. თუმცა მთავარი განსახილველი საკითხი მაინც ქანდაკებისა და არქიტექტურული ნაწილის მასშტაბისა და სტილის შეუსაბამობა იყო. არქიტექტურული ნაწილის საფუძველი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ესთეტიკის სხვადასხვა ფორმით გაცოცხლება იმ პერიოდის ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ასე მოხდა „მწუხარე საქართველოს“ შემთხვევაშიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, პრესასა და პროფესიულ წრეებში ამ თემის განხილვა არ წყდებოდა. ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკული წერილიც ამ პროცესის ნაწილია.

[1] ეკა კიკნაძე, „იაკობ ნიკოლაძე 140“, გვ. 73-83

ნაბიჯი 5

დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა „სენდვიჩის მეთოდის“ გამოყენებით მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასება უნდა მისცეს. შეფასებისას პედაგოგმა უნდა აღნიშნოს, რა იყო საკლასო დისკუსიის სუსტი და ძლიერი მხარეები. სუსტ მხარეებზე საუბრისას მასწავლებელმა ბავშვებს სიტყვიერი რეკომენდაცია უნდა მისცეს, თუ როგორ არის შესაძლებელი ხარვეზების გამოსწორება.

დამატებითი ინფორმაცია:

1. ქართული ქანდაკების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ხელოვნებათმცოდნე მერი კარბელაშვილის სტატია შემდეგ მისამართზე:

https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/136--1920-.html

2. იაკობ ნიკოლაძის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გადაცემა. "რადიო თავისუფლება", გადაცემა "წითელი ზონა", თემა "უცნობი იაკობ ნიკოლაძე", 2017 წ.

https://www.radiotavisupleba.ge/a/citeli-zona-iakob-nikoladze/28246685.html

3. გადაცემა "დღე მუზეუმში" იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებას ეძღვნება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა "დღე მუზეუმში", 2016 წ.

https://www.youtube.com/watch?v=-HAaZeekgJg

რესურსის მომზადებისას გამოყენებული წყაროები:

1. ჟურნალი „კავკასიონი" N1-2, 1924 წ.

2. მასწავლებლის წიგნი: ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, ნინო ლომიძე, "დისკუსიის ტექნიკა", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 წ.

3. ეკა კიკნაძე, „იაკობ ნიკოლაძე 140", საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2016წ.